ხელშეკრულება №220/16

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **8 დეკემბერი 2016 წ.**

ერთის მხრივ **ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო“** (შემდგომში – „შემსყიდველი“), წარმომადგენელი მისი თავმჯდომარის მოადგილის ვახტანგ ტუკვაძის სახით და მეორეს მხრივ, **შ.პ.ს. „იბერია ავტო ლენდი“** (შემდგომში – „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მიხეილ ბაჩიაშვილის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ “დაცული ტერიტორიების სააგენტო”-ს ბალანსზე რიცხული ავტომანქანების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების (CPV50110000 - ავტომობილებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება) სახელმწიფო შესყიდვა;

1.2 სათადარიგო ნაწილებისა და მომსახურების ჩამონათვალი და ფასები ასევე სავალდებულო პერიოდული ტექმომსახურების გრაფიკი შესაბამისი სათადარიგო ნაწილებისა და მომსახურების მითითებით მოცემულია დანართი №1-ში; შესაბამისად ერთეულის ფასი, კონკრეტული ავტომობილის მარკა-მოდელის მიხედვით განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი №1-ის (პრეისკურანტი) შესაბამისად; ნებისმიერი სხვა სათადარიგო ნაწილისა და მომსახურების მიწოდების შემთხვევაში ფასები განისაზღვრება მხარეთა მიერ დამატებით გაფორმებული სერვისული მომსახურების ხელშეკრულებით;

1.3 შესყიდვა ხორციელდება ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო“-ს ტერიტორიულ ადმინისტრაციებზე მიმაგრებული ავტომანქანების საჭიროებისათვის დანართი №2-ის შესაბამისად.

1.4 დანართები №1; №2 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.5 შესყიდვა ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის და 2014 წლის 25 დეკემბრის № ეტ-10 ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტის 7.2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით;

1.6 შესყიდვა ხორციელდება სააგენტოს საკუთარი შემოსავლებით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარებში;

2.2. მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს არაუმეტეს **2000 (ორი ათასი) ლარს**.

3. მომსახურების გაწევის პირობები, ადგილი და ვადა

3.1. „მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს „შემსყიდველის“ ავტოსატრანსპორტო საშუალების პროფილაქტიკური (ამ ხელშეკრულების დანართებით გათვალისწინებული ნაწილებისა და მომსახურების) მომსახურება ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, სიტყვიერი ან/და წერილობითი მოთხოვნიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში; მიმწოდებლის სერვისის გადატვირთვის და/ან შესასრულებელი სამუშაოს სირთულის ან სათადარიგო ნაწილის ადგილზე არქონის

შემთხვევაში მხარეები დამატებით (სიტყვიერად ან წერილობით) თანხმდებიან მიწოდების ვადებზე.

3.2. „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ მომსახურებას გაუწევს მის კუთვნილ ან სუბკონტრაქტორის სერვის ცენტრებში შემდეგ მისამართებზე:

- ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-9 კმ.
- ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი №181.
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვითირი

3.3. მომსახურება განხორციელდება ავტომანქანებზე შედგენილი დეფექტური აქტების საფუძველზე და ასევე საგარანტიო პირობების შესაბამისად.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მიღება-ჩაბარება ხორციელდება ეტაპობრივად მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად;

4.2. მიღება-ჩაბარების აქტს „შემსყიდველის“ მხრიდან ხელს აწერენ სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს” შესაბამისი ადმინისტრაციის თანამშრომლები, ხოლო „მიმწოდებლის“ მხრიდან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

5. მომსახურების ხარისხი

5.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება ხარისხიანი და სწორი ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს დეფექტს;

5.2. „მიმწოდებლის“ გარანტია შესრულებულ სამუშაოებზე ან/და გამოცვლილ და შეკეთებულ სათადარიგო ნაწილებზე მოქმედებს მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან არანაკლებ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში; იმ პირობით, რომ მიწოდებულ ნაწილებსა და მომსახურებაზე ყველა სახის დამატებითი მომსახურება (საჭიროებისას) ან სათადარიგო დეტალის შეძენა საგარანტიო ვადის განმავლობაში მოხდება მხოლოდ მიმწოდებლისაგან; ამასთან: შემსყიდველის მიერ დაცული იქნება სავალდებულო პერიოდული ტექმომსახურებით გათვალისწინებული მომსახურების წესები, პერიოდულობის ვადები და ავტომობილების ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო პირობები. წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია ნაადრევად მოხსნას ავტომობილი გარანტიიდან.

5.3. თუ საგარანტიო პერიოდში აღმოჩნდება დეფექტები, რომლებიც გამორიცხავენ ავტომანქანის გამოყენებას დანიშნულებისამებრ, „მიმწოდებელი“ ვალდებულია „შემსყიდველისგან“ შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში გამოასწოროს დეფექტი ან შეცვალოს დეფექტური ნაწილი, ან დაუბრუნოს „შემსყიდველს“ გადახდილი თანხა;

5.4. გარანტია არ ვრცელდება „შემსყიდველის“ მიერ ავტომანქანის ექსპლუატაციის წესების დარღვევის და გარეგანი ზემოქმედების შედეგად მიყენებულ ზიანზე. ასევე სწრაფცვეთად ნაწილებზე.

5.5. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას განახორციელებს ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო“-ს ეკონომიკური სამსახურის თანამშრომლები.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხორციელდება ლარებში.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპოვრივად ფაქტიურად მიწოდებული სათადარიგო ნაწილებისა და მომსახურების შესაბამისად მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე, მათი წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში;

10. ხელშეკრულების პირობებისა და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს „შემსყიდველი" არ არის ვალდებული წარუდგინოს „მიმწოდებელს" რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში; მათ შორის:

10.3. საქართველოს სამოქალარო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

11.2. თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებლის" მხრიდან მოხდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა და არ განხორციელდა შესაბამისი ხარისხის და ოდენობის მომსახურების მიწოდება, მას დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

13.3. „შემსყიდველის" მხრიდან 6.2 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში „შემსყიდველს" „მიმწოდებლის" სასარგებლოდ დაეკისრება

პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით;

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. შემსყიდველის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა არ ათავისუფლებს შემსყიდველს იმ მომენტისათვის არსებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრამდე.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე მხარეს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

16.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა;

16.4. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო”	შ.პ.ს. „იბერია ავტო ლენდი”
მის: ქ. თბილისი, გულუას ქ. №6	მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-9 კმ
ს/კ: 204911337	ს/კ 236095177
სახელმწიფო ხაზინა	ს.ს „საქართველოს ბანკი“
სახაზინო კოდი: 220101222	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა №200122900	ა/ა GE59BG0000000182943300
ვახტანგ ტუაკაძე თავმჯდომარის მოადგილე	მიხეილ ბაჩიაშვილი დირექტორი

საგარანტიო პერიოდში, თითოეული ავტომანქანის ტექნიკური მომსახურებისა და ამ მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილებისა და საცხებ-საპოხი მასალების ჩამონათვალი მომსახურების გაწევის გრაფიკის და ფასების შესაბამისად

#	დასახელება	საქონლის ერთ.ფასი	მომსახურების ერთეულის ფასი	გარბენი (10000 კმ)	გარბენი (20000 კმ)	გარბენი (30000 კმ)	გარბენი (40000 კმ)	გარბენი (50000 კმ)	გარბენი (60000 კმ)	გარბენი (70000 კმ)	გარბენი (80000 კმ)	გარბენი (90000 კმ)	გარბენი (100000 კმ)	ჯამი
1	ძრავის ზეთი (7ლ)	133	12	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	1700
2	ზეთის ფილტრი	25		+	+	+	+	+	+	+	+	+	+	
3	ჰაერის ფილტრი	40	0		+		+		+		+		+	200
4	წინა სამუხრუჭეხუნდი	170	20			+			+			+		570
5	უკანა სამუხრუჭე ხუნდი	0	0											0
6	კონდენციონერის ფილტრი	70	10				+				+			160
7	ანთების სანთელი (აღნიშნულ მოდელს ანთების სანთელი არ გააჩნია)	X	X											X
8	ძრავის კბილანა ღვედი (კომპლ. - დამჭიმი და როლიკი)	280	252								+			532
ჯამი ლარში:														3162

შენიშვნა: 100 ათას კილომეტრზე ფლობის ღირებულების ფარგლებში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს წინა და უკანა ხუნდები საჭიროების შემთხვევაში, სულ მცირე ხუთჯერ, ხოლო წინა და უკანა ხუნდების ყოველი შემდგომი შესყიდვა გადასახდელი იქნება შემსყიდველის მიერ არა დადგენილი ფლობის ღირებულების ფარგლებიდან, არამედ ავტოტექმომსახურების დამატებით გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით.

MITSUBISHI L200 (სათადარიგო ნაწილების პრეისკურანტი)			
№	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი
1	ძრავის კბილანა ღვედის დამჭიმი	1ც	135
2	ძრავის კბილანა ღვედის როლიკი	1ც	65
3	ძრავის კბილანა ღვედის დამჭიმი მექ. (ამორტიზატორი)	1ც	310
4	ძრავის კბილანა ღვედი	1ც	80
5	ბალანსირის ღვედი	1ც	55
6	ბალანსირის დამჭიმი როლიკი	1ც	60
7	დინამოს ღვედი	1ც	170
8	კონდიციონერის ღვედი	1ც	60
9	ჰაერის ფილტრი	1ც	40
10	საწვავის ფილტრი	1ც	120
11	ძრავის ზეთის ფილტრი	1ც	25
12	კონდენციონერის ფილტრი	1ც	70
13	წყლის რადიატორი	1ც	1530
14	მექანიკურ გადაცემათა კოლოფის ზეთი	1ლ	20
15	გამანაწილებელი კოლოფის ზეთი	1ლ	20
16	წინა ხიდის ზეთი	1ლ	20
17	უკანა ხიდის ზეთი	1ლ	20
18	ძრავის ზეთი	1ლ	19
19	ჰიდრავლიკის ზეთი	1ლ	25
20	სამუხრუჭო სითხე	1ლ	30
21	ანტიფრიზი	1ლ	20
22	სუპორტის რემ.კომპლექტი	1ც	50
23	სუპორტი	1ც	980
24	სუპორტის ცილინდრი (პორშინი)	1ც	110
25	წინა სამუხრუჭო ხუნდები	1კომპ	170
26	უკანა სამუხრუჭო ხუნდები	1კომპ	0
27	საყრდენი სამუხრუჭო დისკი	1ც	360
28	უკანა ბარაბანი	1ც	400
29	ცეპლენიის დისკი	1ც	450
30	ცეპლენიის პლიტა	1ც	600
31	ვიშიმნოი საკისარი	1ც	180
32	წინა ამორტიზატორი	1ც	360
33	უკანა ამორტიზატორი	1ც	280
34	წინა სტაბილიზატორის რეზინი	1ც	30
35	წინა სტაბილიზატორის ლინკა	1ც	120
36	რაზდატკის რეზინის ბალიში	1ც	70
37	ჯვარედინა	1ც	120
38	წინა სტუპიცა	1ც	570
39	უკანა ხიდის სალნიკი	1ც	50
40	რაზდატკის სალნიკი	1ც	50
41	ყუმბარის პილნიკი	1ც	50
42	რესორი	1ც	1020
43	რესორის რეზინი	1ც	15
44	წინა ქვედა გიტარა	1ც	590
45	წინა ზედა გიტარა	1ც	380
46	საბურავის გაიკა	1ც	10

47	საბურავის შპილკა	1ც	10
48	ყუმბარა	1ც	1720
49	ძვედა შარავოი	1ც	150
50	ძრავის უკანა სალნიკი	1ც	90
51	პადვესნოი	1ც	180
52	პადკარობოჩნი	1ც	360
53	რაზდატკის ცეპი	1ც	1230
54	რაზდატკის ღერძის საკისარი	1ც	120
55	რაზდატკის საკისარი	1ც	160
56	რაზდატკის სალნიკი	1ც	50
57	რაზდატკის ღერძის გაიკა	1ც	40
58	რაზდატკის უკანა სალნიკი	1ც	50
59	რაზდატკის მთავარი ღერძის საკისარი	1ც	260
60	კარდნის ხაბლუშკა	1ც	50
61	საჭის მექანიზმის "ნაკონეჩნიკი"	1ც	120
62	უდარნი ტიაგა	1ც	180
63	კარტერის ბოლტი	1ც	20
64	მფრძვევანა ფარსუნკა	1ც	1540
65	ანთების სპირალი (გამათბობელი)	1ც	160
66	გამათბობელი (ფეჩი)	1ც	2580
67	გამათბობლის ძრავი	1ც	480
68	თერმოსტატი	1ც	60
69	მინის საწმენდი რეზინები	1კომპ	120
70	საყვირი	1კომპ	150
71	წყლის მისასხმელის ავზის ძრავი	1ც	170
72	უკანა ფარი (კომპლექტი)	1ც	450
73	წინა ფარი ძსენონი (ბლოკი,ნათურები)	1ც	2850
74	უკანა მუხრუჭის ნათურა	1ც	5
75	მუხრუჭის ნათურა (საბარგულის)	1ც	5
76	უკუ სვლის ნათურა	1ც	5
77	უკანა მოხვევის ნათურა	1ც	5
78	წინა მოხვევის ნათურა	1ც	5
79	წინა ფარის ძსენონის ნათურა	1ც	350
80	ნისლსაწინააღმდეგო ფარის ნათურა	1ც	30
81	ბაბარიტის ნათურა	1ც	5
82	წინა ფარის ნათურა H4	1ც	20
83	უკანა კარის მინა	1ც	380
84	მინის საწმენდი მექანიზმის ძრავი	1ც	470
85	აკუმულატორი	1ც	350
86	კონდენციონერის რადიატორი	1ც	1050
87	კარის შუშის ამწე მექანიზმი	1ც	520
88	რულის შლეიფი	1ც	380
89	ტურბოს დატჩიკი	1ც	330
90	შალონის საფენები (კოვრიკები)	1ც.	180
91	ინტერძულერი (ტურბოს რადიატორ)	1ც	1650
92	საწვავის ავზი	1ც	1400
93	ძრავის დამცავი	1ც	260

MITSUBISHI L200 (მომსახურების პრეისკურანტი)			
№	მომსახურების დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი
1	ძრავის დიაგნოსტიკა	1კომპ	10
2	ძრავის კბილანა ღვედის, დამჭიმის შეცვლა	1კომპ	252
3	სავალი ნაწილის დათვალიერება	1კომპ	10
4	დინამოს ღვედის შეცვლა	1ც	20
5	კონდიციონერის ღვედის შეცვლა	1ც	40
6	წინა ამორტიზატორის შეცვლა	1ც	50
7	უკანა ამორტიზატორის შეცვლა	1ც	30
8	წინა სტაბილიზატორის რეზინის შეცვლა	1ც	15
9	წინა ზედა ბიტარის შეცვლა	1ც	40
10	წინა სტაბილიზატორის ლინკის შეცვლა	1ც	20
11	წინა ქვედა ბიტარის შეცვლა	1ც	60
12	საჭის მექანიზმის "ნაკონეჩნიკის" შეცვლა	1ც	20
13	ჰაერის ფილტრის შეცვლა	1ც	0
14	საწვავის ფილტრის შეცვლა	1ც	20
15	ძრავში ზეთის და ფილტრის შეცვლა	1ც	12
16	წყლის რადიატორის შეცვლა	1ც	70
17	მექანიკურ გადაცემათა კოლოფში ზეთის შეცვლა	1ც	15
18	გამანაწილებელ კოლოფში ზეთის შეცვლა	1ც	15
19	წინა ხიდში ზეთის შეცვლა	1ც	15
20	უკანა ხიდში ზეთის შეცვლა	1ც	15
21	წინა სამუხრუჭე ხუნდების შეცვლა	1კომპ	20
22	უკანა სამუხრუჭე ხუნდების შეცვლა	1კომპ	0
23	საყრდენი სამუხრუჭო დისკის შეცვლა	1ც	30
24	საყრდენი სამუხრუჭო დისკის ახარატება	1ც	30
25	სამუხრუჭო სისტემის სითხით გამართვა (პრაკაჩკა)	1კომპ	60
26	სავალი ნაწილის შეკოხვა	1კომპ	15
27	თვლების შეყრა	1კომპ	40
28	ანტიფრიზის შეცვლა	1კომპ	30
29	რაზდატკის რეზინის ბალიშის შეცვლა	1ც	20
30	მინის საწმენდი რეზინების შეცვლა	1კომპ	0
31	ჯვარედინას შეცვლა	1ც	50
32	სუპორტის რემკომპლექტის შეცვლა	1ც	40
33	სუპორტის შეცვლა	1ც	30
34	სუპარტის ცილინდრის (პორშინი) შეცვლა	1ც	40
35	წინა სტუპიცის შეცვლა	1ც	80
36	უდარნი ტიაგის პილნიკის შეცვლა	1ც	30
37	ხელის მუხრუჭის რეგულირება	1ც	10
38	ფრეონით დატუმბვა	100გრ	20
39	ნახევარღერძის (პოლუოსის) სალნიკის შეცვლა	1ც	70
40	ნახევარღერძის (პოლუოსის) საკისარის შეცვლა	1ც	90
41	უკანა ხიდის სალნიკის შეცვლა	1ც	40
42	სიჩქარის შემზღუდველი ხმოვანი სიგნალის მოხსნა	1კომპ	100
43	კარდნის ზაგლუშკის შეკეთება	1ც	80
44	გასაღების რეგისტრაცია	1ც	100
45	რაზდატკის სალნიკის შეცვლა	1ც	40
46	ჟუმბარის პილნიკის შეცვლა	1ც	50

47	რესორის შეცვლა	1ც	100
48	რესორის რეზინის შეცვლა	1ც	10
49	წინა ფარის შეცვლა (კომპლექტი)	1ც	80
50	უკანა ფარის შეცვლა (კომპლექტი)	1ც	20
51	უკანა ბარაბნის შეცვლა	1ც	30
52	ცეპლენიის დისკის შეცვლა	1ც	350
53	კონდენციონერის რადიატორის შეცვლა	1ც	80
54	წყლის მისასხმელი ავზის ძრავის შეცვლა	1ც	70
55	გამათბობლის შეცვლა	1ც	400
56	გამათბობლის ძრავის შეცვლა	1ც	100
57	ყუმბარის შეცვლა	1ც	40
58	საყვირის შეცვლა	1კომპ	50
59	თერმოსტატის შეცვლა	1ც	80
60	გადაცემათა კოლოფის მოხსნა-დაყენება	1ც	300
61	ზედა შარავოის შეცვლა	1ც	20
62	ქვედა შარავოის შეცვლა	1ც	45
63	ძრავის უკანა სალნიკის შეცვლა	1ც	350
64	საბურავის შპილკის და გაიკის შეცვლა	1კომპ	10
65	კონდენციონერის ფილტრის შეცვლა	1ც	10
66	უდარნი ტიაგის შეცვლა	1ც	30
67	პადვესნოის შეცვლა	1ც	80
68	პადკაროგოჩნის შეცვლა	1ც	30
69	ტურბოს დატჩიკის შეცვლა	1ც	15
70	ელექტროობის სრული დიაგნოსტიკა	1კომპ	30
71	მფრქვევანა ფარსუნკის შეცვლა	1ც	300
72	ანთების სპირალის (გამათბობლის) შეცვლა	1ც	15
73	საწვავის სისტემის რეგულირება	1კომპ	90
74	საწვავის ავზის მოხსნა დაყენება	1კომპ	100
75	უკანა მუხრუჭის ნათურის შეცვლა	1ც	5
76	მუხრუჭის ნათურის (საბარგულის) შეცვლა	1ც	5
77	უკუ სვლის ნათურის შეცვლა	1ც	5
78	უკანა მოხვევის ნათურის შეცვლა	1ც	5
79	წინა მოხვევის ნათურის შეცვლა	1ც	5
80	წინა ფარის ქსენონის ნათურის შეცვლა	1ც	10
81	ნისლსაწინააღმდეგო ფარის ნათურის შეცვლა	1ც	10
82	გაბარიტის ნათურის შეცვლა	1ც	5
83	წინა კარის მინის შეცვლა	1ც	70
84	წინა ფარის ნათურა H4-ის შეცვლა	1ც	5
85	უკანა კარის მინის შეცვლა	1ც	70
86	რაზდატკის სრული რემონტი	1ც	600
87	რაზდატკის ცეპის შეცვლა	1ც	240
88	დინამოს მოხსნა დაყენება	1ც	80
89	აკუმულატორის შეცვლა	1ც	10
90	რამის გადაჭერა	კომპ	35
91	საბურავის დაშლა აწყობა ბალანსირება	1ق	15
92	ინტერკულერი (ტურბოს რადიატორის შეცვლა)	1ც	80
93	პადმატორნის შეცვლა	1ც	120
94	რულავოი კალონკის მოხსნა დაყენება	1ც	250
95	რულავოი კალონკის სრული რემონტი	1ც	450
96	კარის დაშლა აწყობა	1ც	50

97	საჭარე მინის შეცვლა	1ც	200
98	ABS –სენსორის შეცვლა	1ც	30
99	საწვავის ავზის შეცვლა	1ც	80
100	საწვავის ავზის შედუღება	1ც	80
101	ძრავის დამცავის შეცვლა	1ც	10
102	კონდენციონერის ფილტრის შეცვლა	1ც	10
103	ევაკუატორის გამოძახება	1ც	20
104	ევაკუაცია (ქალაქში)	1კმ	1
105	ევაკუაცია (ქალაქგარეთ)	1კმ	1.4

„შემსყიდველი“

ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო”

ვახტანგ ტუკვაძე
თავმჯდომარის მოადგილე

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს. „იბერია ავტო ლენდი”

მიხეილ ბაჩიაშვილი
დირექტორი

2016 წლის 8 დეკემბრის №220/16 ხელშეკრულების დანართი №2

ავტომანქანების ჩამონათვალი			
№	ავტომანქანის მარკა	სახელმწიფო ნომერი	მიმაგრება
1	MITSUBISHI L200	GA 046 PA	ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია
2	MITSUBISHI L200	GA 047 PA	ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია
3	MITSUBISHI L200	GA 048 PA	მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაცია
4	MITSUBISHI L200	GA 049 PA	მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაცია
5	MITSUBISHI L200	GA 056 PA	თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია
6	MITSUBISHI L200	GA 057 PA	თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია

„შემსყიდველი“

ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო”

ვახტანგ ტუპვაძე
თავმჯდომარის მოადგილე

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს. „იბერია ავტო ლენდი”

მიხეილ ბაჩიაშვილი
დირექტორი